

### ქართული საქოხო სიმღერები

ქართველთა უძველეს სასიმღერო რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვადასხვა კუთხეში ცნობილ მზის თაყვანისცემის გადმონაშთს — სანესო ფერხულ „მზე შინას“, რომელმაც ჩვენამდე უფრო ძეობის თანმხლებ სიმღერად მოაღწია. საძეობო სიმღერის სახელე-ბია „მზე შინა და მზე გარეთა“ (ან „მზე შინა“, „მზე შინაო“, „ზაშინაო“, „ზაშინავა“) და „ნაღნაღ, ნინაღა“ და (ან ნაღნა“). მეორე სახელის საწყისი სიტყვა მზის ქალღვთაების — ნანას ფონეტიკური ვარიანტია და მას გულისხმობს (გარაყანიძე, 1997:19; მსხალაძე, 1969:34).

წარსულში მზისადმი მიმართულ საგალობელს, ბავშვის დაბადების აღსანიშნავი დღეობის გარდა, ამბობდნენ: მისი დაძინებისა და აკვანში პირველი ჩანვენისას, მელოგინესა და სახადიან ავადმყოფთან, რელიგიურ დღესასწაულებზე. მითოლოგიური გადმოცემით, იგი სრულდებოდა მზის კერპისადმი ლოცვისა და მზის შვილად ცნობილი მეფის სეირნო-ბის დროს.

„მზე შინას“ შედარებით ძველი სანოტო და ფონოჩანანერი ძალიან ცოტაა. გამოქვეყნებული მასალებით ცნობილი იყო მისი გურული (მაგ. 1), მეგრული ( მაგ. 2) და მესხური (მაგ. 3) ვარიანტები. მაგრამ საკითხზე მუშაობამ სიმღერის ქართლური (მაგ. 4, 5), კახური, იმერული (მაგ. 6), აჭარული (მაგ. 7, 8) და სვანური (მაგ. 9) პარალელებიც გამოავლინა. მზის საგალობელი სოფლური ფოლკლორის ფარგლებსაც გასცდა: მისი ერთი ნიმუში ქალაქური ფოლკლორის დასავლურ შტოს წარმოგვიდგენს.

„მზე შინას“ ძველი და ახლად მიკვლეული დიალექტური ვარიანტები სხვაობს განვითარების დონითა და რიგი ნიშნებით. მაგრამ განსხვავებ-ბაზე უფრო თვალშისაცემი მათი კავშირია, რომელიც მუსიკალური ენის სხვადასხვა კომპონენტში ვლინდება და ამ სიმღერების ერთი ძირიდან წარმომავლობაზე მიუთითებს.

საძეობო სიმღერას უფრო ქალები მღერიან, რადგან ძეობის რიტუ-ალში, როგორც წესი, ისინი მონაწილეობდნენ. ერთი ქართლელი ეთნო-ფორის ცნობით, წინათ, ძეობაში ქალები ქეიფობდნენ, კაცებს არ გააჩე-რებდნენ (გარაყანიძე, 1981: 50). მიუხედავად ამისა, ყოფაში „მზე შინა“ მამაკაცებმაც იციან და ამბობენ კიდევ. სიმღერის ჩანერილი ნიმუშები-დან გურული, მეგრული და მესხური სწორედ მამაკაცების შესრულებუ-ლია; სვანური „ზაშინაო“ მხოლოდ მამაკაცთა ნამღერითაა ცნობილი; აჭარულ „ნაღნაღს“ კი, ქალების გარდა, მამაკაცებიც ამბობენ.

სპეციალური ლიტერატურა და ექსპედიციებში მოპოვებული მასალები ადასტურებს საძეობო სიმღერის საფერხულ შესრულებას ქართლ-ში, კახეთში, იმერეთში, აჭარასა და სამეგრელოში. „მზე შინას“ ფერხულად მღერა არც გურიის, მესხეთისა და სვანეთისათვის უნდა ყოფილი-

ყო უცხო, რასაც ამ კუთხეების ვარიანტების მუსიკალური ტექსტებიც მონიშნავს.

**როგორ იმდებრებოდა საძეობო სიმღერა?**

გალმა-გამოლმა ან შენაცვლებით (სვანურად — „ლაცაად“) (კახეთი, იმერეთი, სვანეთი); სოლისტისა და უნისონური გუნდის მონაცვლებით (აჭარა); ცალფად (ქართლი, მესხეთი); სოლოდ (ჩონგურის თანხლებით) (გურია, სამეგრელო). გურული „მზე შინას“ სანოტო ჩანანერის საფუძველზე ედიშერ გარაყანიძე მის უწინდელ ორპირულობას ვარაუდობს (გარაყანიძე, 1981:52). მუდმივად განმეორებადი რეფრენი და ფიზიკურ მოძრაობასთან კავშირი მკვლევარს აფიქრებინებს, რომ შორეულ წარსულში სიმღერა რესპონსორული იყო, მრავალხმიანად კი შედარებით გვიან იქცა (გარაყანიძე, 1997:29).

სიმღერის **ფერბალური ტექსტი** მეგრულ ნიმუშებში ქართულია. მეგრული ტექსტი ამ საკითხით საგანგებოდ დაინტერესებულ ქეთევან ჭითანავასაც ვერ ჩაუწერია: მთხრობელებს მისთვის სამეგრელოში ამ სიმღერის აღმოსავლეთ საქართველოდან გავრცელებაზე მიუთითებიათ (ჭითანავა, 1985:217). ქართული სიტყვები სვანური ნიმუშების სვანურ ტექსტებსაც ურევია. სიტყვიერ ტექსტებში ასახულია მითოლოგიური, საძეობო, სააკვნო, ნადირობისა და სატრფიალო თემები. ძირითადი ტექსტი თითქმის ყველგან ერთნაირია, ზოგ კუთხეში — უფრო ვრცელი. სხვადასხვა კუთხის ვარიანტების ყოველი მუხლი მთავრდება (ერთისა კი იწყება) რეფრენით, რაც პოეტური სიტყვის განვითარების ადრეულ საფეხურს ახასიათებს. მისამღერი რეფრენი — ექვსმარცვლოვანი ტაეპი „მზევ, შინ შემოდიო“ უცვლელია საქართველოს უმეტეს კუთხეში (გურია, სამეგრელო, მესხეთი, ქართლი, იმერეთი). ექვსმარცვლოვანია აჭარული საძეობო სიმღერის მუდმივად განმეორებადი გლოსოლოლიაც „ნაღნაღ, ნინაღნა-და“, რომელსაც აქ ისეთივე როლი აქვს, როგორც სხვაგან — „მზევ, შინ შემოდიოს“. შვიდმარცვლოვანია სვანური ნიმუშების მისამღერები („ზამი შაიამოდი“ და „ზამი ჩოი ლამარე“).

სიმღერის აღმოსავლურქართული ვარიანტებიდან მესხური, კახური და ერთი ქართლური (მაგ. 4) ერთხმიანია, ცალფა. თუმცა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში ინახება მათზე გაცილებით ძველი (1916 წლის), ორხმიანი ქართლური სანოტო ჩანანერი (მაგ. 5). იგი ცენტრალური და დომინანტური ფუნქციის ბანით ქართლელ ქალთა ტიპური სიმღერაა.

დასავლურქართული ვარიანტებიდან გურული და მეგრული სოლო (საკრავით თანხლებული) ერთხმიანობის ნიმუშებია, იმერული და სვანური სამხმიანია, აჭარული კი — ერთხმიანი ქალთა (მაგ. 8) და სამხმიანი მამაკაცთა (მაგ. 7) შესრულებით.

იმერული „მზეშინაო“ ქალაქური სიმღერაა, სოფლურისაგან განსხვავებული ჰარმონიით. მეორე მუხლის დასაწყისიდან სიმღერის ბოლომდე, სიტყვიერი ტექსტის პირველ ოთხ მარცვალზე („ვა-ჟის მა-მა“, „შინ არ არის“ და ა. შ.) სახეზეა ოთხხმიანი მონაკვეთები. ეს შედეგია ბანის პარტიის ორად დაყოფისა, მისი ორი შესაძლო ვარიანტის ერთდროულად ჟღერ-



დანართები). „მზე შინა“ არ არის ჩონგურის თანხლებით სათქმელი სიმღერა. იგი თავდაპირველად უსაკრავოდ უნდა შესრულებულიყო.

ძეობის რიტუალში „მზე შინა“ მონაწილეთა ფერხული იყო (ფერხულით იმღერებოდა იგი რელიგიურ დღესასწაულებზეც). საფერხულო შესრულება კი საქართველოში თავისთავად გამორიცხავს ცალფა ან სოლო მღერას. ფერხულად მღერისას ჩვენში საუბარი შეიძლება მხოლოდ ისეთ ერთხმიანობაზე, რომელიც რიტუალის მონაწილეთა თანაინტონირებას (ანუ უნისონურ შესრულებას) გულისხმობს. სწორედ ასეთია ალექსანდრე მსხალაძის მიერ ჩანერილი აჭარელ ქალთა „ნაღნაღ“, რომელიც სოლისტისა და უნისონური გუნდის მონაცვლეობით სრულდება. მაშ სად შეიძლებაოდა სიმღერა სოლოდ ან ცალფად ემღერათ? — ბავშვის დაძინებისას! აკი სწორედ ასეთებია დიმიტრი არაყიშვილისა და ვალერიან მაღრაძის მიერ ჩანერილი, სააკვნო ფუნქციის „მზე შინას“ მეგრული და მესხური ვარიანტები. სოლო და ცალფად მღერა სიმღერის საფერხულო შესრულებასთან შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს (ცალფა შესრულების გვიანდებობას, უნისონური და ბურდონული ბანის ფონზე მღერისაგან განსხვავებით, გარაყანიძეც აღნიშნავს. (გარაყანიძე, 1997:28-29). რიტუალური ძეობა და მისი თანხლები საფერხულო სიმღერა ჩვენს სინამდვილეში დავიწყებას მიეცა. ამიტომ იგი შეიძლება ცალფადაც და საკრავის თანხლებითაც შესრულდეს. ძეობის რიტუალს ფუნქცია ბატონებისა და ამინდის მართვის რიტუალებზე უფრო ადრე უნდა დაჰკარგვოდა და ფუნქციონირებდა „მზე შინა“ ცალფა შესრულებას „იავნანასა“ და „ლაზარეზე“ ადვილად ჰგუობს. ამას უნდა ადასტურებდეს ის ფაქტიც, რომ ქართლური „მზე შინას“ მთქმელს იქ მყოფმა შემსრულებლებმა, „იავნანასა“ და „ლაზარესაგან“ განსხვავებით, არც ბანი უთხრეს და არც უნისონში აჰყენენ (ამის შესახებ იხ. გარაყანიძე, 1997:28).

თუკი სოლო მღერა ჩონგურის თანხლებით ბუნებრივია ბავშვის დაძინებისას, იმავე სამეგრელოში რელიგიურ დღესასწაულებზე დაბმული ფერხულის ჰანგი, უეჭველად, მრავალხმიანი უნდა ყოფილიყო (უნისონური მღერის ტრადიცია ამ კუთხეში საერთოდ არ გვხვდება!). არაყიშვილის მიერ ჩანერილი მეგრული და გურული სოლო სიმღერები უნდა იყოს შედეგი მრავალხმიანი საფერხულო ჰანგის ერთი ადამიანის მიერ შესრულებისა, რა დროსაც მას აუცილებლად დასჭირებოდა ჩონგური ამ სიმღერების მრავალხმიანი ბუნების გადმოსაცემად! სხვაგვარად რომ ვთქვათ, გურული და მეგრული „მზე შინა“ მრავალხმიანი საფერხულო ჰანგის ჩონგურზე დამღერებული ვარიანტებია. მრავალხმიანი უნდა ყოფილიყო მეგრული თავადი ფალავების ნამღერი (×èñàí ðàà, 1987:60) „მზე შინაოც“.

მრავალხმიან საფერხულო სიმღერას საქართველოს სხვა კუთხეებშიც ამღერებენ საკრავზე. ასეთებია, მაგალითად, „ლაჟღვაში“, „დალა კოჯას ხელღვაჟაღე“ და სხვ. ეს ფერხულები დღემდე ფერხულადაც სრულდება, მაგრამ ზოგჯერ ჭუნირზეც (ან ჭუნირსა და ჩანგზეც) იმღერება. საკრავზე დამღერებისას ფერხულის ჰანგი შეიძლება იყოს სამ-, ორ- ან ერთხმიანი; საკრავის პარტია კი ძირითადად სიმღერის ფაქტურას ასახავს.

საქართველოს კუთხეებისათვის უცხო არც საფერხულო სიმღერის ცალფა შესრულებაა. ამას მონიშნავს ჩემს მიერ აჭარაში ჩანერილი ცნობა, რომ „ეს აკვანი ხარატული“ დედის სიმღერაა, დედა ეტყოდა შვილს“. „ეს აკვანი ხარატული“ იგივე საძეგლო ფერხული „ნაღნაღ“. ე. ი. ერთი და იგივე სიმღერა სხვადასხვა დანიშნულებით და სხვადასხვა გარემოში მღერის შედეგად შეიძლება იყოს: 1) მრავალხმიანიც (ასეთია მამაკაცთა ვარიანტი); 2) ერთხმიანი საგუნდოც (ქალთა ვარიანტი) და 3) ერთხმიანი ცალფაც (დედის მიერ შვილისათვის ნამღერი ვარიანტი). „ნაღნაღს“ სამხმიანობას გარაყანიძე მამაკაცთა შესრულებას უკავშირებს (გარაყანიძე, 1990:138). მაგრამ პოტენციურად ქალთა ნამღერიც მრავალხმიანია, ამიტომ საძეგლო ფერხულის რეალური მრავალხმიანობა, მაინც-დამაინც, მამაკაცთა დამსახურება არ უნდა იყოს.

ყოფაში კარგა ხნის წინ ფუნქციადაკარგული საძეგლო სიმღერა დღეს მხოლოდ სასცენო-საკონცერტო შემსრულებლობას შემორჩა, ისიც — გვარიანი ცვლილებებით (იგი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ზოგი ცეკვის მუსიკალურ თანხლებად).

„მზე შინას“ დიალექტური ვარიანტების კვლევა ქართველთა უძველესი მუსიკალური ენისა და მისი შემდგომი ევოლუციის მრავალ საინტერესო საკითხს ჰფენს შუქს.

#### დამონმებული ლიტერატურა

გარაყანიძე, ედიშერ. (1981). ქართული სანესო სიმღერების ერთი ჯგუფის საკითხისათვის. სადიპლომო შრომა. თბილისი.

გარაყანიძე, ედიშერ. 1990). ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.

გარაყანიძე, ედიშერ. (1997). ქართული ხალხური სიმღერის განვითარების ერთი ადრეული ეტაპის შესახებ. კრებულში: ნურნუმია, რუსუდან (პ/მ რედ.). მუსიკისმცოდნეობის საკითხები. (გვ. 18 -39) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომები. თბილისი: მერიდიანი.

მსხალაძე, ალექსანდრე. (1969). აჭარის საოჯახო სანესჩვეულებო პოეზია. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

ჭითანავა, ქეთევან. (1985). მეგრული სანესო სიმღერა „მზე შინაო“. კრებულში: ითონიშვილი, ვალერიან და კიკნაძე, რევაზ (პ/მ რედ.). ისტორიულ-ეთნოგრაფიული მტყუდიები, II. თბილისი: მეცნიერება.

Àðàè-èàà, Àì èððé. (1908). Í àðí àí àý ì àní ÿ Çàí ààí í é Æðçèè (Èì àðàðèè). Í òðè ñèè èç Ì ò. Õðáí á Ì óçú èàèüü í -Ýò í í àðàð è-àñéí é Èí ì èññè. Ì í ñèàà.

×èðàí ààà, Èàðàààí. (1987). Ì óçú èàèüü àý éóèùò óðà ðààí èí í ã í àñàèú éý Çàí ààí í é Æðçèè (í í ýò í í àðàð è-àñèè ì àò àððàèü Ñàì ààðàéí). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.

**მაგალითი 1.** „მზე შინა და მზე გარეთა.“ გურული. *Ä. Äðæ:èââ, Í àðí ãí àÿ ï ãñí ŷ Çai àãí î é Äðçèè (Èì àðâèè). Í ðèèñèè èç II ð «Öðáí â Í òçú èàèüí î - Ýòí î ãðàð è-ãñèí é Èî ì èññèè».* *Ì î ñéâà, 1908, დანართი, 5.*

**Example 1.** “Mze Shina da Mze Gareta.” Gurian. D. Arakchiev [Araqishvili], Folk Songs of Western Georgia (Imereti). Reprints from vol. II of the “Works of Musical-Ethnographic Commission”. Moscow, 1908, Appendix, #5.

*Andantino*

голосъ  
მზე ში - ნა და მზე გა - რე - თა, მზე შინ შე - მო - დი - ო.  
mze shi - na da mze ga - re - ta, mze shin she - mo - di - o.

чоңгури

3

მზე ში - ნა და მზე გა - რე - თა, მზე შინ შე - მო - დი - ო.  
mze shi - na da mze ga - re - ta, mze shin she - mo - di - o.

**მაგალითი 2.** „მზე შინაო, მზე შინაო!“ მეგრული. იქვე, დანართი, 1.

**Example 2.** “Mze Shinao, Mze Shinao!” Megrelian. D. Arakchiev [Araqishvili], Folk Songs of Western Georgia (Imereti). Reprints from vol. II of the “Works of Musical-Ethnographic Commission”. Moscow, 1908, Appendix, #1.

*Andante*

голосъ  
მზე ში - ნა - ო, მზე ში - ნა - ო, მზე შინ შე - მო - დი - ო!  
mze shi - na - o, mze shi - na - o, mze shin she - mo - di - o!

чоңгури

*вариантъ*

მზე ში - ნა - ო, მზე ში - ნა - ო, მზე შინ შე - მო - დი - ო!  
mze shi - na - o, mze shi - na - o, mze shin she - mo - di - o!

**მაგალითი 3.** „მზე შინა და მზე გარეთა“ (ნანა). მესხური. ვ. მაღრაძე, ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები. თბილისი: ხელოვნება, 1987, გვ. 174.

**Example 3.** “Mze Shina da Mze Gareta” (Nana). Meskhetian. V. Maghradze, Georgian (Meskhetian) Folk Songs. Tbilisi: Khelovneba, 1987, p. 174.

$\text{♩} = 60$

მზე ში - ნა და მზე გა - რე - თა. მზე შინ შე - მო - დო - დო.  
mze shi - na da mze ga - re - ta. mze shin she - mo - do - do.

მზე ში - ნა და მზე გა - რე - თა. მზე შინ შე - მო - დო - დო.  
mze shi - na da mze ga - re - ta. mze shin she - mo - do - do.

**მაგალითი 4.** „მზე შინა“. ქართლური. ე. გარაყანიძე, ქართლური სანესო სიმღერების ერთი ჯგუფის საკითხისათვის (სადიპლომო ნაშრომი). თბილისი, 1981, დანართი, 12.

**Example 4.** “Mze Shina”. Kartlian. E. Garaqanidze, On the Issue of One Group of Kartlian Devotional-Ritual Songs. BM thesis. Tbilisi, 1981, Appendix, #12.

მზე ში - ნა და მზე გა - რე - თა. მზე შინ შე - მო - დო - დო.  
mze shi - na da mze ga - re - ta. mze shin she - mo - do - do.

ზო - ქის მს - მა შინ არ ა - რი. მზე შინ შე - მო - დო - დო.  
bi - chus ma - ma shin ar a - ri. mze shin she - mo - do - do.

**მაგალითი 5.** „ლაზარე“ („მზე შინა და მზე გარეთა“). ქართლური. ჩამწერი გ. სვანიძე. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი.

**Example 5.** “Lazare” (“Mze Shina da Mze Gareta”). Kartlian. Notated by G. Svanidze. Archive of Folklore State Centre of Georgia.

ლა - ზა - რე მად - გა კარ - სა - რი. აბ - რი - ა - ლებ - და თვალ - სა - რი.  
la - za - re mad - ga kar - sa - ri. ab - ri - a - leb - da tv'al - sa - ri.

ზე - ცას სა - ში გა - მის ტა - ცა და - ვე - მხიო ი - ში კვალ - სა - რი.  
ze - cas sa - shi ga - mis ta - ca da - ve - mxio i - shi kval - sa - ri.

**მაგალითი 6.** „მზეშინაო“. იმერული. ჩანერა ო. ჩიჯავაძემ მაიაკოვსკის რაიონში 1961 წელს; გაშიფრა ნ. ზუმბაძემ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის (ამის შემდეგ — ქხმშლ) არქივი.

**Example 6.** “Mzeshinao”. Imeretian. Recorded by O. Chijavadze (Maiakovski region, 1961); transcribed by N. Zumbadze. Archive of the Georgian Folk Music Laboratory of Tbilisi State Conservatoire.

მზე შინაო, მზე შინაო, მზე, მზე შენი დიო.  
mze shino, mze shino, mze, mze sheni dio.

ვა-ვა, ვა-ვა, ვა-ვა, ვა-ვა, მზე, მზე შენი დიო.  
va-va, va-va, va-va, va-va, mze, mze sheni dio.

**მაგალითი 7.** „ნაღ-ნაღ“. აჭარული. ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო-სანეს-სრეულებო პოეზია (საკანდიდატო დისერტაცია). ბათუმი, 1968, გვ.35

**Example 7.** “Nai-Nai”. Acharian. Al. Mskhaladze, Devotional-Ritual Family Poetry of Achara (Thesis for the PhD degree). Batumi, 1968, p. 35.

ნაი-ნაი, ნაი-ნაი-ნაი და, ნაი-ნაი და, ნაი და, ნაი-ნაი, ნაი-ნაი, ნაი-ნაი-ნაი და, ნაი-ნაი და, ნაი და, ნაი-ნაი.  
nai-nai, nai-nai-nai da, nai-nai da, nai da, nai-nai, nai-nai, nai-nai-nai da, nai-nai da, nai da, nai-nai.

**მაგალითი 8.** „ნალ-ნალ ნინაინა“ (ქალების ფერხული). აჭარული. ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო სანესჩვეულებო პოეზია. ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1969, გვ. 133.

**Example 8.** “Nai-Nai Ninaina” (Womens’ round-dance). Acharian. Al. Mskhaladze, Devotional-Ritual Family Poetry of Achara. Batumi: Sabchota Achara, 1969, p.133.

ზომიერება

დაწყ.

ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა  
na - na na - na na - na na - na na - na na - na

5

ქი ა - კუ - ნა ხა - რა - ტუ - ლა  
xi a - ku - na xa - ra - tu - la

ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა  
na - na na - na na - na na - na

ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა ნა - ნა  
na - na na - na na - na na - na

**მაგალითი 9.** „ზაშინაო“. სვანური. ჩანერა გ. ჩხიკვაძემ მესტიის რაიონში 1960 წელს; გაშიფრა ნ. ზუმბაძემ. ქსმმლ არქივი.

**Example 9.** “Zashinao”. Svan. Recorded by G. Chkhikvadze (Mestia region, 1960); transcribed by N. Zumbadze. Archive of the Georgian Folk Music Laboratory of Tbilisi State Conservatoire.

I მარცხენა

ზა - ში - ნა - ია, ზა - ში - ნა - ია, ზა - ში - ნა - ია - ა - ში - დი, ი - დი, ზა - ში - ში - ში - ში  
za - shi - na - ia, za - shi - na - ia, za - shi - na - ia - a - shi - di, i - di, za - shi - shi - shi - shi

6

ლა - ღვარაშ ხო - რ - და, ზა - ში - ში - ში - ში - ში - ში, დი, ი - დი, ზა - ში - ნა - ია  
la - khvarash kho - r - da, za - shi - shi - shi - shi - shi - shi, di, i - di, za - shi - na - ia

II მარცხენა

10

ზა - ში - ნა - ა  
za - shi - na - a

ზა - ში შა - ი - ა - მო  
za - shi sha - i - a - mo

დი - დი  
di - di

13

ზა - ში - ში მა - მა  
za - shi - shi ma - ma

ლა - იკვანთი ხო - რა  
la - ikvanti kho - ra

ზა - ში შა - ი - ა - მო  
za - shi sha - i - a - mo

დი  
di